ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №8043171

ნომერი: AR11155786

თარიღი : 06.08.2026

გაცემის თარიღი : 13.08.2026

გაცნობის თარიღი : 13.08.2026

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , რაფაელ აგლაძის ქუჩა , N 32ა;

დამკვეთი-განმცხადებელი

- გიორგი ძიძიკაშვილი პ/ნ 12001092336
- თბილისი ლილოს დას. I მ/რ კორ. 15 ბ. 28

ნომენკლატურა :

- I კლასი
- აბრებისა და რეკლამების განთავსება
  კორექტირება
- შენობა-ნაგებობის ფასადისა და სახურავის სარემონტო და მოპირკეთებითი სამუშაოები, როცა ხდება ფერის ან მასალის ცვლილება
  კორექტირება

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5, 51-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიეტქტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილებით დამტკიცებული მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის

ექსპლუატაციაში მიღების წესის და პირობების, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების თანახმად.

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენი საკითხი, რომელიც ეხება ქ თბილისში ,სექტორი დიდუბე , რაფაელ აგლაძის ქუჩა , N 32ა-ში, სამსახურის მიერ 20/07/2026 წ. № 8010995 გადაწყვეტილებით საკუთრებაში არსებულ (N 1/1) სამღებრო სამუშაოებისა და სარეკლამო აბრის მოწყობის მიზნით I კლასის სარეკონსტრუქციო სამუშაოების განხორციელებას კორექტირებული ფოტომონტაჟის საფუძველზე ცვლილების შეტანას.
პასუხად გაცნობებთ, რომ თქვენ მიერ განსახორციელებელი სამუშაოები თავისი მახასიათებლებით განეკუთვნება პირველი კლასის ობიექტს და გაცნობებთ, რომ სამსახურმა შეამოწმა ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაციი (საკადასტრო კოდი: N 01.13.05.004.241; რეგ.N 882026471898 ,09/06/2026 წ არსებული სიტუაციის ამსახველი ფოტოსურათი, საპროექტო ფოტომონტაჟი) ქალაქთმშენებლობით დოკუმენტებთან შესაბამისობა და ეთანხმებაქ თბილისში ,სექტორი დიდუბე , რაფაელ აგლაძის ქუჩა , N 32ა-ში, სამსახურის მიერ 20/07/2026 წ. № 8010995 გადაწყვეტილებით საკუთრებაში არსებულ (N 1/1) სამღებრო სამუშაოებისა და სარეკლამო აბრის მოწყობის მიზნით I კლასის სარეკონსტრუქციო სამუშაოების განხორციელებას კორექტირებული ფოტომონტაჟის საფუძველზე ცვლილების შეტანის შესაძლებლობას.
გაითვალისწინეთ:
სამონტაჟო სამუშაოები განხორციელდეს უსაფრთხოების ნორმების დაცვით და უზრუნველყოფილი იქნას სარეკლამო აბრის კონსტრუქციული მდგრადობა
გაითვალისწინეთ, მშენებლობის შეტყობინების მოქმედების ვადაა ამ შეტყობინების ჩაბარებიდან (ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემიდან)1 წელი.

- ზემოაღნიშნული სამუშაოების ჩატარებისას, დამკვეთი ვალდებულია დაიცვას კანონმდებლობით, მათ შორის, სამშენებლო რეგლამენტებით გათვალისწინებული მოთხოვნები და ნორმები.
- სამშენებლო დოკუმენტაციის სისწორეზე პასუხისმგებლობა ეკისრება დამკვეთს და დოკუმენტის შემსრულებელ პირს.
- აქვე განგიმარტავთ, რომ ამ წერილით დადასტურებული სამუშაოების დარღვევით წარმოება გამოიწვევს კანონდებლობით დადგენილ პასუხისმგებლობას.
- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.